ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2740048

ნომერი: AR1422656

თარიღი : 14.07.2016

გაცემის თარიღი : 26.07.2016

გაცნობის თარიღი : 28.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზირი 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა შალიკაშვილი პ/ნ 01010018127
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 9 ბ. 14

ორგანიზაცია:

- შპს ონიქსი კოდი: 405065913

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის სარეკლამო აბრის განთავსების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, ალ.ყაზბეგის გამზირი, N 25 , (ნაკვ. 10/017), ქალაქი თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი, N 25 , (ნაკვ. 10/018), შპს“ "m2 ყაზბეგზე“-ს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახოციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური”.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს“ "m2 ყაზბეგზე“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.10.15.010.029.01.02.003, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016460921 25/07/2016 წ., ასევე წარმოდგენილი მინდობილობა, არსებული სიტუაციის ფოტომასალა და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, ალ.ყაზბეგის გამზირი, N 25 , (ნაკვ. 10/017), ქალაქი თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი, N 25 , (ნაკვ. 10/018), შპს“ "m2 ყაზბეგზე“-ს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსების შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.